





ქ.თბილისი

ნინოშვილის ქ. № 30-ში განთავსებული ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა (შიდა ეზოს განაშენიანება)

დამკვეთი:
ნარგიზი ტიზლარიშვილი

შემსრულებელი:
არქიტექტორი ალა პროზოროვა

თბილისი
04. 2014



ნინოშვილის ქუჩა №30-ში განთავსებული ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა
(შიდა ეზოს განაშენიანება)





საკვლევი ობიექტი - **ეგნატე ნინოშვილის ქუჩა №30** - მდებარეობს **"ძველი თბილისის" ადმინისტრაციულ რაიონში, თბილისის ისტორიული განაშენიანების დაცული ზონის საზღვრებში,** თუმცა არ შედის თბილისის ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების ნუსხაში. საკვლევ ტერიტორიას თავის შენობა-ნაგებობებთან და ეზოსთან ერთად უკავია ნაკვეთი 1215,0 მ^2 ***(ზონა 01, სექტორი 16, კვარტალი 01, ნაკვეთი 019/010),*** შენობა-ნაგებობების სასარგებლო ფართი შეადგენს 156,63 მ^2. წარმოდგენილი კვლევა შესრულებულია ნარგიზი ტიზლარიშვილის საკუთრებაში არსებულ შენობაზე შიდა ეზოს მხრიდან რეკონსტრუქცია-მიშენების განხორციელების მიზნით.

უბანი, სადაც განლაგებულია ჩვენი საკვლევი ტერიტორია, იმყოფება ქ.თბილისის დაცულ ზონაში და გააჩნია თავისი საინტერესო ისტორია.

ადგილი, რომელზეც მდებარეობს საკვლევი ობიექტი ჯერ კიდევ **XVIII** საუკუნეში დაფარული იყო ველური მცენარეებით.

თბილისის რუკა - 1802 წ.



სოფელი "კუკია"



ქალაქ თბილისის **1800** წლის რუკაზე დავით აღმაშენებლის გამზირის დასაწყისის ადგილზე, დღევანდელი ზაარბრიუკენის მოედნის მიდამოებში, აღნიშნულია **სოფელი კუკია** - თავისი ეკლესიით, დიდი კერძო ბაღითა და გალავნით. კუკიას საზღვრებს წარმოადგენდა **მდინარე მტკვარი**, ხრამი, რომელიც გადიოდა დღევანდელი **მარჯანიშვილის ქუჩის** გასწვრივ და ასეთივე ხრამი კვირაცხოველის სახელით მოპირდაპირე მხარეს.

1818 წელს კუკიას ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ დაასახლეს ვიურტენბერგიდან გადმოსახლებული გერმანელი კოლონისტების ნაწილი. მათ კეთილმოაწყვეს ეს ადგილი, გაიყვანეს სარწყავი არხი - ტერიტორიაზე გაჩნდა ბაღები და ბოსტნები. გერმანელები გახდნენ ხილ-ბოსტნეულისა და რძის პროდუქტების ძირითადი მიმწოდებლები ქალაქ თბილისის ბაზარზე.

1823 წლისთვის კუკიას მოსახლეობა შეადგენდა 1008 ადამიანს. ამ პერიოდში აქ ძირითადად დაკავებულები იყვნენ ხელოსნობითა და სოფლის მეურნეობით.

1824 წელს კუკია ოფიციალურად მიეკუთვნა ქალაქს. კუკიაში თითქმის ყველა მოსახლეს საკუთარი ბაღ-ვენახი ჰქონდა გაშენებული.

1842 წელს თბილისის მომწყობი კომისია ადგენს დოკუმენტს ქალაქის გარეუბნის კუკიის მოწყობის შესახებ, რომლის მიხედვითაც უნდა გარკვეულიყო რამდენი თავისუფალი და დაკავებული ადგილი იყო აღნიშნულ ტერიტორიაზე.

1847 წელს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მითითებით, ინტენსიურად იწყება კუკიის დასახლება და განაშენიანება. სწორად ამ პერიოდში გაჩნდა გრძივი **ქუჩა,** რომელსაც დაერქვა **"მიხაილოვის"*** *(კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის)* სახელი. საინტერესოა, რომ ამ დროს "მიხეილის" გამზირის დასაწყისში ჩნდება "ვორონცოვის" სახელობის ხიდი და "ვორონცოვის" სახელობის მოედანი *(მოგვიანებით – კარლ მარქსის, დღეისათვის – ზაარბრიუკენის მოედანი).*

1853 წლიდან კუკიაზე ვრცელდება ქალაქის განაშენიანების წესები, ხოლო **1862** წლიდან - შედის ქალაქის საზღვრებში.



თბილისის გეგმა , 1867 წ.

***მიხეილის ქუჩა** - **1899** წლიდან ქუჩას მიენიჭა **გამზირის** სტატუსი *(გასაბჭობის შემდეგ – რევოლუციონერ გიორგი პლეხანოვის სახელი, **1988**-იდან კი - **დავით IV აღმაშენებლის** სახელი ქვია).* გამზირი წარმოადგენს მარცხენა სანაპიროს მთავარ მაგისტრალს და თბილისის მეორე *(რუსთაველის გამზირის შემდეგ)* საზოგადოებრივ ცენტრს. აღმაშენებლის გამზირი რუსთაველის გამზირთთან ერთად წარმოადგენს თბილისის ცენტრის მთავარ საქალაქო მაგისტრალს. განივი კავშირი მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან განხორციელებულია სამი ხიდის საშუალებით – ზაარბრიუკენის, გალაკტიონისა და თამარ მეფის. დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირის სიგრძე - 3 კმ-ა. *("დინამო"-ს სტადიონიდან ზაარბრუკენის მოედნამდე).* გამზირის ხუროთმოძღვრული სახის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თბილისში ცნობილმა ქრქიტექტორებმა: ლ.ბილფელდმა, პ.შტერნმა, ა.შიმკევიჩმა, ა.ზალცმანმა და სხვებმა. **XIX** საუკუნის ბოლოში - **XX** საუკუნის დასაწყისში გამზირზე განლაგებული იყო სასტუმროები, კინოთეატრები, კლუბები, გერმანული და რუსული საკრებულოები, ტურისტების თავშესაფარი (შემდგომში – თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო), აფთიაქები, გერმანული ეკლესია კირხე, მრავალი მაღაზია და სახელოსნო. მაშინდელი შემონახული ნაგებობებია "ვეტცელის" სასტუმრო *(შემდგომში სასტუმრო "რუსთავი"),* კინოთეატრი "აპოლო", თბილისის ფოსტამტის შენობა, ყოფილი "მიხეილის" საავადმყოფოს შენობა, ტიპიური ძველი თბილისური ***(XIX** საუკუნის)* საცხოვრებელი სახლები შეკიდული აივნებით და რამოდენიმე საცხოვრებელი "შემოსავლიანი" *(«Доходные дома»)* სახლი. საინტერესოა, რომ გამზირის თითოეულ მოსახლეს ჰქონდა საკუთარი მიწის ნაკვეთი გაშენებული ბაღ-ვენახით. ამ პერიოდში გამზირის ღერძის გასწვრივ ჩამოყალიბდა რამდენიმე თბილისში ცნობილი საზოგადოებრივი პარკი, რომელთა ნაწილიც დღემდეა შემორჩენილი გარკვეული ცვლილებებით. ასეთებია მაგალითად "მუშთაიდის" და "არტოს" პარკი. აქვე იყო ჩოგბურთის უძველესი მოედნები, კავკასიაში პირველი ველოტრეკი, მოედანი გორგოლაჭიანი ციგურებისათვის. ცოტა მოგვიანებით კვარტალური განაშენიანების შიგნით არსებული "მწვანე მასივები" გარდაიქმნა საზოგადოებრივ პარკებად, საზაფხულო კინოთეატრებად და ღია საკონცერტო სცენებად (მაგალითად - პარკი "ფანტაზია", მოგვიანებით მაქსიმ გორკის სახელობის, დღევანდელი "ვარდების პარკი"). გამზირზე და კიროჩნის ქუჩაზე გადიოდა კონკის ხაზი, რომელიც **XX** საუკუნის დასწყისში გადაკეთებული იქნა ტრამვაისათვის.






მიხეილის გამზირის ფოტოები მე-XIX ს. ბოლო - XXს. დასაწყისი

1920-30 წლებიდან გამზირის სახე საფუძვლიანად შეიცვალა – აღებული იქნა ტრამვაის ხაზი *(მარჯანიშვილის ქუჩიდანაც)* და მოასფალტებული იქნა თავდაპირველად რიყის ქვით მოპირკეთებული გზა. **2010** წლიდან დღემდე თანახმად მუნიციპალური პროგრამისა, "თბილისის განვითარების ფონდის" მიერ თამარ მეფის პროსპექტიდან მარჯანიშვილის მოედნამდე მონაკვეთში მიმდინარეობს დავით აღმაშენებლის გამზირის რეკონსტრუქციის სამუშაოები - მზიდი კონსტრუქციების გამაგრება იმ შენობებისა, რომლებიც საჭიროებენ და ფასადით გამოდიან გამზირზე; საპარადო ფასადების რესტავრაცია; ზოგიერთ შემთხვევაში მანსარდების დაშენება არსებულ შენობებზე ან ახალი შენობების აშენება.

პლეხანოვის (ყოფილი მიხაილოვის, დღევანდელი აღმაშენებლის) გამზირი ფ
ფოტო 1938-39 წწ.





XIXსაუკუნის **80**-იან წლებში მშენებლობის ტემპი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მას შემდეგ, რაც მოხდა მტკვრის ნაპირების დაკავშირება ვორონცოვის და ვერის ხიდების საშუალებით. სამაგიეროდ **კიროჩნის ქუჩის**** ღერძზე ვერის ხიდის აგების შემდეგ ზრდა თვალსაჩინო ხდება. ხიდის მშენებლობასთან ერთად ჩნდება

ახალი გაყვანილი მაგისტრალი - ვერის *(მოგვიანებით – ელბაქიძის, დღეისთვის – მ.ჯავახიშვილის)* დაღმართი. ჩნდება ახალი ქალაქგეგმარებითი განივი კავშირი: კიროჩნის ქუჩა – ვერის ხიდი – ვერის დაღმართი, რომელიც აერთიანებს ქალაქის ორ მთავარ ღერძს მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე - გოლოვინის *(დღეისათვის - რუსთაველის)* და მიხაილის *(დღეისთვის – დ.აღმაშენებლის)* გამზირებს. ახალი ხიდის მშენებლობამ ხელი შეუწყო ორივე სანაპიროზე მიმდებარე ტერიტორიების ათვისებას.

მარჯანიშვილის მოედანი - 2010 წ.





****კიროჩნის ქუჩა** - თავდაპირველად ერქვა **კირხის** *(ან კირიჩნის, კიროჩნის)* სახელი. ნაწარმოებია გერმანული „კირხედან“ *(Kirche - ეკლესია)*, ქართულ სალაპარაკო ლექსიკაში რუსული ენის მეშვეობით შემოვიდა *(შემდეგ – ჟან ჟორესის სახელი ეწოდა, **1938** წლიდან **კოტე მარჯანიშვილის** სახელი ჰქვია)*. **XIX** საუკუნეში ქუჩაზე ძირითადად იყო ხორცის, საბაყლო და ბოსტნეულის სავაჭრო რიგები, პატარა ფანჩატურ-დუქნები. გერმანული კოლონიის უბნის გაშენების შემდეგ შეიქმნა მოედანი, სადაც გერმანელებმა ააგეს ხის ლუთერანული ეკლესია *(„კირხე“)*; **1897** წელს მის ადგილზე აშენდა აგურის ახალი ეკლესია, რომელიც **1946-47** წლებში მარჯანიშვილის მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით აღებული იქნა. მარჯანიშვილის ქუჩის ზემო ნაწილში XIX საუკუნის პირველ ნახევარში აშენებული იყო წმ. ალექსანდრე ნეველის რუსული მართმადიდებული ეკლესია. **მარჯანიშვილის ქუჩა-** გრძივად განლაგებული ქალაქის, შეიძლება ითქვას, მთავარი განივი ღერძის ერთ-ერთ მონაკვეთია. ეს სატრანსპორტო ფუნქციური ღერძი, რომელიც იწყება რესპუბლიკის მოედნიდან, გადის გალაკტიონის ხიდზე, მარჯანიშვილის ქუჩით მიემართება მარჯანიშვილის მოედნამდე და გრძელდება ზევით. ქუჩა თითქმის მთლიანად თანხვდება მხატვრულ-კომპოზიციურ ღერძს, რომელიც აკავშირებს მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე *(მთაწმინდის მთიდან - მახათის მთამდე)* ქალაქის ტერასებზე განლაგებულ უბნებს.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა კუკიას გეგმარებითი სქემა – რეგულარული ქსელი, რომელსაც ქმნიან მიხეილის გამზირის პარალელური და პერპენდიკულარული ქუჩები. **1898, 1902, 1907, 1913** და **1924** წლის თბილისის გეგმების მიხედვით, გერმანელთა კოლონიის ტერიტორია სწორკუთხა მონაკვეთებად არის დაყოფილი (ქუჩათა მონაცვლეობამაც უცვლელი სახით მოაღწია ჩვენამდე), რომლის უმეტესი ნაწილი “მწვანე მასივებს” ეკუთვნის. თავდაპირველად ეს კვარტლები მთლიანად იყო გამწვანებული, შემდეგ, თანდათან ხდება მათი

განაშენიანება საცხოვრებელი სახლებით, ძირითადად პერიმეტრის გასწვრივ, რომელიც მწვანე მასივების "ქუჩის ფასადს" ქმნიდა.

1896 წლის თბილის საკადასტრო გეგმაზე ჩვენი საკვლევი უბნის კვარტლები დაყოფილია სწორკუთხა ნაკვეთებად ისეთი წესით, რომ თითოეულის ერთი რომელიმე მხარე აუცილებლად გამოდის ქუჩაზე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ყოველ ნაკვეთს გააჩნდა ეგრეთწოდებული "საპარადო ფასადი".

თბილისის გეგმა 1898 წ.



XX საუკუნის დასაწყისისათვის უბნის განაშენიანებაში ჩნდება ქალაქისათვის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები **მიხეილის გამზირისა** და **კირხეს ქუჩის** გასწვრივ; ასევე ამ ქუჩების პარალელური ქუჩებზე, მათ შორის **ნიკოლოზის** *(შემდეგ, 1924 წლიდან – რევოლუციონერ ივანე კალინინის სახელი ეწოდა, 1991 წლიდან - ქართველი ისტორიკოსის და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის სახელი ჰქვია)* და **ალექსანდრეს** *(შემდეგ, 1924 წლიდან – მწერალ ეგნატე ნინოშვილის სახელი ჰქვია)* ქუჩებზე. ეს განაშენიანება, რომელიც ძირითადად **XIX** საუკუნის **80**-იან წლებში ჩამოყალიბდა, ასახავს თბილისისათვის *(ისევე, როგორც საქართველოსათვის და მთელ რუსეთის იმპერიისათვის)* იმ დროისათვის დამახასიათებელ ეკლექტიკურ ტენდენციებს. იმდროინდელი საცხოვრებელი შენობები **1-2** სართულიანია. **XX** საუკუნის დასაწყისში, საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების გაჩენასთან ერთად, მათი მასშტაბი ოდნავ გაიზარდა **2-3** სართულამდე და ოდნავ "გამდიდრდა" ეკლექტიკური ფასადების დეკორირება *(უნდა აღინიშნოს, რომ სართულის სიმაღლე ამ შენობებში 3,5 - 4,5 მ.-ია).*

თბილისის გეგმები 1907 წ. 1924 წ.



წმ.ალექსანდრე ნეველის ეკლესია





ჯავახიშვილის ქუჩა №69

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ძეგლის ნუსხაში შედის წმ. ალექსანდრე ნეველის რუსული მართმადიდებული ეკლესია, რომელიც განლაგებულია იმავე კვარტალში, სადაც აშენებულია ჩვენი საკვლევი ობიექტი *(ჯავახიშვილის ქუჩა №69 კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი №010201335)*.

ჩვენი საკვლევი შენობის მიმდებარე ტერიტორაზე XIX საუკუნის ბოლოს-XX საუკუნის დასაწყისში ისევე, როგორც მიხეილის გამზირზე საცხოვრებელი შენობების მასშტაბი იზრდება, საპარადო ფასადები იღებენ უფრო პომპეზურ სახეს. ჩვენი საკვლევი ობიექტის გვერძე ნინოშვილის ქუჩის წითელ ხაზზე გამოდის სამსართულიანი, ყოფილი "საშემოსავლო" სახლი. *(ნინოშვილის ქუჩა №28, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი №010201170)*. ამ სახლის საპარადო ფასადი შესრულებულია იმ დროინდელისთვის მოდურ არქიტექტურულ "მოდერნი"-ს ("არტ-ნუვო"-ს) სტილში. ამ შენობის მაღალი, თავდაპირველად ყრუ (ამჟამად რამდენიმე მოგვიანებით გაჭრილ ფანჯრის ღიობებით) ტორსული აგურის კედელი გამოდის ჩვენი საკვლევი ობიექტის შიდა ეზოში, საზღვრავს რა მთელი საკვლევი ტერიტორიის ერთ მხარეს, თამაშობს ეზოში აქტიურ როლს.





ნინოშვილის ქუჩა №32

ნინოშვილის ქუჩა №28

საკვლევი ობიექტის ქუჩის წითელი ხაზის მეორე მხარეს განლაგებულია 1-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის საპარადო ფასადი შესრულებულია აგურის სუფთა წყობით, კლასიცისტური არქიტექტურული სტილის გავლენით (ეს შენობა არ შედის თბილისის უძრავი ძეგლების ნუსხაში).



ჩვენი საკვლევი ობიექტის - **ნინოშვილის ქუჩა №30** - ტერიტორია წარმოადგენს სწორკუთხა ფორმის ნაკვეთს, რომელზეც ქაოტურად განლაგებულია სწორკუთხა კვარტალში. ეს კვარტალი შემოსაზღვრულია მარჯანიშვილის, ნინოშვილის, ჯავახიშვილის და კლდიაშვილის ქუჩებით. საკვლევ ნაკვეთზე ქაოტურად განლაგებულია რამდენიმე ერთ და ორ სართულიანი შენობა-ნაგებობა, აშენებული სხვადასხვა დროს. ტერიტორიაზე მოწყობილია ორი შესასვლელი, რომელიც ეკვრის მეზობელ სახლებს (№28 და №32) ქუჩის წითელ ხაზზე. შესასვლელები წარმოადგენენ რკინის ჭიშკრებს კუტიკარებით. გასასვლელბს შორის განლაგებულია ორი ერთმანეთზე მიკრული 2-სართულიანი სახლი. ორივე სახლის ქუჩის ფასადები გალესილია, არ წარმოადგენენ ესთეტიკური თვალსაზრისით რაიმე ღირებულებას. ერთერთი სახლის ფასადზე მოწყობილი მხოლოდ სწორკუთხა ფანჯრები, ხოლო გვერდითი ფასადის (№28 შენობის მხრიდან) ორივე სართულზე მოწყობილია განიერი რკინა-ბეტონის აივნები, სადა ლითონის მოაჯირებით. მეორე შენობის საფარადო ფასადის პირველ სართულზე ფანჯრების გარდა მოწყობილია სადარბაზოს კარები და ავტოფარეხის ჭიშკარი. მეორე სართულზე მოწყობილია კუთხის რ/ბ აივანი, რომელიც გრძელდება მთელ ფასადზე მიმართული №32 სახლის მხარის.







"პატარა" ეზო

საკვლევი ობიექტის შიდა ეზო ნაწილი

შიდა ეზოს მხრიდან ამ შენობების ფასადები შემორტყმულია განიერი აივნებით, ნაწილობრივ ამოშენებულია. საკვლევი ობიექტის შიდა ეზოს საკმაოდ დიდია, ხილის და დეკორატიული ხეებით, ბუჩქების და ყვავილების კლუმბებით. ეზოში ასევე მოწყობილია ქვით და კერამიკული ფილებით მოპირკეთებული ბილიკები და მოედნები. ტერიტორიაზე არის კიდევ ერთი პატარა ეზო, შიდა კვარტალური განაშენიანების მეზობელი ნაკვეთის მხრიდან. მეზობელი №28 სახლის მაღალი აგურის კედლის მოპირდაპირედ საკვლევ შიდა ეზოში ალაგ-ალაგ განლაგებულია სხვადასხვა სიდიდის და კონფიგურაციის ერთი და ორ სართულიანი სახლები, რომლებიც ერთმანეთზეა მიკრული და ერთერთ იმ სახლზე, რომლის საპარადო ფასდი მიმართულია ქუჩისაკენ.

საკვლევი ობიექტის შენობები გარდა საცხოვრებელი ფუნქციისა ასრულებენ აგრეთვე სამოქალაქო-საზოგადოებრივ (საერთაშორისო მოძრაობა "ქრისტიანთა თემი") ფუნქციებს. შიდა ეზოში ერთერთ ერთსართულიან შენობაში განლაგებულია სხდომის დარბაზი. წორედ ეს დარბაზი და მის გარშემო სათავსოები დამკვეთის სურვილით უნდა იქნეს რეკონსტრუირებული და კეთილმოწყობილი თანამედროვე ნორმებისა და საზოდაოებრივი შენობებისა და ნაგებობების მოთხოვნების შესაბამისად.

საკვლევი ობიექტის რეკონსტრუქციის წარმოების დროს გამომდინარე ზემოთ აღიშნულიდან დამკვეთმა და პროექტის ავტორმა სასურველია გაითვალისწინონ შემდეგი **რეკომენდაციები**:

- იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ საკვლევ ტერიტორიაზე განლაგებული არც ერთი შენობა-ნაგებობა არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს ისტორიული და არქიტექტურული თვალსაზრისით - საკვლევი ტერიტორიის ნებისმიერი შენებობა-ნაგებობა შეიძლება როკონსტრუირებული, ან აღებული (მთლიანად ან ნაწილობრივად) იქნას მეპატრონის სურვილით და ახალი პროექტის კონცეფციის მიხედვით. პროექტის შედგენის წინ აუცილებლად უნდა ჩატარდეს ტერიტორიის გეოლოგიური და საინჟინრო კვლევა და ობიექტის დღევანდელი მდგომარეობის სრული ფიქსაცია;

- არსებული მოცულობების რეკონსტრუქციის პროექტირების დროს პროექტის ავტორებმა უნდა გაითვალისწინონ ობიექტის განლაგების ურბანული მნიშვნელობა, მეზობელი-შენობების ჩამოყალიბებული ტენდენციები და ტრადიციები;

- სავალდებულოა გათვალისწინებული იქნეს ნებისმიერი ახალი მოცულობის (ან მოცულობების) მოქმედი საპროექტო არქიტექტურულ-სამშენებლო ნორმები და მუნიციპალური მოთხოვნები ისტორიულ დაცვით ზონისათვის - როგორც თვით ობიექტისათვის, ასევე მეზობელი ნაგებობებისათვის. ხოლო პროექტირების და მშენებლობის დროს სასურველია გამოყენებული იქნეს თანამედროვე არქიტექტურული ტენდენციები, სამშენებლო მასალები და ტექნოლოგიები;

- საკვლევი ობიექტის მფლობელებს უნდა მიეცეთ რეკომენდაცია მოეძიონ ფინანსური შესაძლებლობები, რათა ჩაატარონ რეკონსტრუქცსიის შემდგომი ეტაპი, კერძოდ შენობის ნინოშვილის ქუჩისკენ მიმართული ფასადების რეკონსტრუქცია. სასურველია ამ ფასადებს მიეცეს შესაბამისი "პარადულობა", რათა ღირსეულად ჩაჯდეს ისტორიული უბნის ქუჩის განაშენიანებაში, სადაც იმყოფება აღნიშნული ობიექტი.

არქიტექტორი - *ალა პროზოროვა*
2014. 04

ბლიოგრაფია და საარქივო მასალები
(გამოყენებული ისტორიული რუკები და ფოტოები):

- ვახტანგ ბერიძე, "**თბილისის ხუროთმოძღვრება – 1801-1917 წლები"** *"საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1960წ.*
- თენგიზ კვირკველია, **"თბილისის არქიტექტურა",** *"საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1982წ.*
- **"თბილისი", ენციკლოპედია,** *«ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერ რედაქცია»,* თბილისი, 2002წ.
- **"Тифлис и его окресности. Путеводитель",** *«Церкумси»,* თბილისი, 1925 წ.
- "Кавказский календарь" - 1903 - 1914 წწ.
- თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი;
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი;
- საქართველოს ცენტრალური საისტორი არქივი;
- ცენტრალური თბილისის არქივი

იბლიოგრაფია და საარქივო მასალები
(გამოყენებული ისტორიული რუკები და ფოტოები):

- ვახტანგ ბერიძე, "**თბილისის ხუროთმოძღვრება – 1801-1917 წლები"** *"საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1960წ.*
- თენგიზ კვირკველია, **"თბილისის არქიტექტურა",** *"საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1982წ.*
- **"თბილისი", ენციკლოპედია,** *«ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერ რედაქცია»,* თბილისი, 2002წ.
- **"Тифлис и его окресности. Путеводитель",** *«Церкумси»,* თბილისი, 1925 წ.
- "Кавказский календарь" - 1903 - 1914 წწ.
- თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი;
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი;
- საქართველოს ცენტრალური საისტორი არქივი;
- ცენტრალური თბილისის არქივი